სამშენებლო გენგეგმა



პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო შენობა;
- დროებითი ღობე;
- დროებითი შენობა;

ექსპლიკაცია

1. საპროექტო შენობა;
2. კოშკურა ამწე;
3. დროებითი ღობე;
4. დახურული საწყობი;
5. მწარმოებლის ოთახი;
6. დროებითი ჯიხური;

შ.პ.ს. "პროექტი"	ქ. თბილისი, ალექსიძის ქ.№1, ნაკვეთი 038/011, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი			2014 წ.		
დირექტორი		ქ. კალანდაძე	მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი	სტადია	ფურც.	რაოდ.
პრ. ავტორები		პ. ქურდიანი				
		ქ. ქურდიანი	სამშენებლო გენგეგმა	მ.პ.	№-1	3
შეასრულა		ნ. ნონიაშვილი				

სამონტაჟო სქემა



შპს "პროექტი"	ქ. თბილისი, ალექსიძის ქ.№1, ნაკვეთი 038/011, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი			2014 წ.		
დირექტორი		ქ. კალანდაძე	მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი	სტადია	ფურც.	რაოდ.
არ. ავტორები		ა. ქურდიანი				
		ქ. ქურდიანი				
შესასრულა		ნ. ნონიაშვილი	სამონტაჟო სქემა	მ.პ.	№-2	3

სამუშაოთა წარმოების გრაფიკი

სამუშაოთა ხანგრძლივობა: I თვე – XXIV თვე (თვის დღეები: 5, 10, 15, 20, 25, 30/31)

სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა
ტერიტორიის დაკვალვა	10
დროებითი ქსელების მოწყობა	15
მიწის სამუშაოები	30
დახრილი ინექციური ხიმინჯების და მონ.რ/ბ კედლის მოწყობა არსებული შენობის საძირკვლების და ქვაბულის ფერდის გადამაგრებლად	31
ფუძის მოწყობა	26
ნულოვანი ციკლის დასრულება	60
გადახურვის მოწყობა 0.00 ნიშნულზე	35
ამწქვეშა გზების მოწყობა	26
კოშკურა ამწის მონტაჟი	31
შნობის I-V სართ. მონ. რკ/ბ კარკასის მოწყობა	102
შნობის VI-IX სართ. მონ. რკ/ბ კარკასის მოწყობა	91
სახურავის მოწყობა	36
გარე კედლების შევსება	127
შიგა კედლების და ტიხრების მოწყობა	137
სან. ტექნიკური და ელ. ტექნიკური სამუშაოები	51
შიგა მოსახვითი სამუშაოები	163
გარე მოსახვითი სამუშაოები	117
ტერიტორიის კეთილმოწყობა	36

შ.პ.ს. "პროექტი"	ქ. თბილისი, ალექსიძის ქ.№1, ნაკვეთი 038/011, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი			2014 ჸ.		
დირექტორი		ქ. კალანდაძე	მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი	სტადია	ფურც.	რაოდ.
პრ. ავტორები		პ. ქურდიანი				
		ქ. ქურდიანი	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი	მ.პ.	№-3	3
შეასრულა		ნ. ნონიაშვილი				

ქ. თბილისში, ალექსიძის ქ. №1, ნაკვეთი 038/011 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი

მუშა პროექტი

ქ. თბილისი 2014 წ.

განმარტებითი ბარათი

მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისად.

სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია

- სამშენებლო მოედნის ორგანიზაცია გულისხმობს სამშენებლო წარმოების მომზადებას საინჟინრო თვალსაზრისით.
- მშენებლობის დაწყების წინ ატჟიტექტურულ-დაგეგმარებითი სამსახურის სპეციალისტებთან ერთად სრულდება ტოპო-გეოდეზიური სამუშაოები შენობების მიბმითა და ღერძების დაჯვალვით.

მოსამზადებელი სამუშაოები:

მოსამზადებელი სამუშაოები იწყებენ სამშენებლო ციკლს. მათში შედიან:

- სამშენებლო ტერიტორიის გასუფთავება ნაგვისგან, ობიექტებიდან და ნივთებიდან რომლებიც უშლიან მშენებლობას;
- ტერიტორიის დაგეგმარება – მცენარეული შრის მოხსნა, ტერიტორიის დაჯვალვა;
- ტერიტორიის შემოღობვა და დროებითი შენობა-ნაგებობების მოწყობა;
- დროებითი გზების, დროებითი წყლის გადამყვანების, ჯანალიზაციის და სამშენებლო მოედნის ელ. მომარაგების მოწყობა.

ნულოვანი ციკლი შეიცავს:

- გრუნტის მექანიკურ დამუშავებას, სამუშაო ხორციელდება უკუჩამჩიანი ექსკავატორის მეშვეობით;
- გრუნტის შემდგომ დამუშავებას ხელით და ტრანშეების გათხრას, რომელიც ხორციელდება ქვაბულის გათხრის დამთავრებისთანავე;
- ქვაბულის მოწყობის პროცესში უნდა განხორციელდეს გამაგრებითი სამუშაოები მიმდებარე შენობის საძირკვლის და ქვაბულის კედლის გასამაგრებლად. (იხ. კონსტრუქციული დასკვნა)
- შემყვანების მოწყობას იწყებენ გრუნტის დამუშავების შემდგომ და ახორციელებენ საძირკვლების კონსტრუქციების მონტაჟის პარალელურად;
- საძირკვლების ელემენტების მონტაჟი – ნულოვანი ციკლის ძირითადი პროცესი.
- ქსელების მონტაჟს იწყებენ შემყვანების მოწყობის შემდგომ;
- ვერტიკალური ჰიდროიზოლაცია ხორციელდება საძირკვლების ელემენტების მონტაჟის შემდგომ, ქსელების მონტაჟის პარალელურად;
- გრუნტის უკუჩაყრა ბულდოზერით და ნაწილობრივად ხელით – ნულოვანი ციკლის დასკვნითი სამუშაო.
- ზედმეტი გრუნტი უნდა იქნას გატანილი მთლიან მოცულობაში.

მიწის ზედა ნაწილის აგება.

ამ ციკლს იწყებენ ამწკვეშა გზების მოწყობით და ამწის მონტაჟით. ამწის მონტაჟის დამთავრების შემდეგ იწყებენ სართულების კონსტრუქციების მონტაჟს და სახურავის კონსტრუქციების მონტაჟს.

ა. სამონტაჟო სამუშაოები:

დაარმატურების და დაბეტონების სამუშაოები უნდა წარიმართოს თანამედროვე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით. ქარგილები უნდა იყოს ინვენტარულ-გადასაადგილებელი, ადვილად დასაშლელი და დიდ გაბარიტული, ბეტონის დამზადება სასურველია საწარმოში, ბეტონის მიწოდებისათვის უნდა გამოვიყენოთ მიქსერები საქარხნო ბეტონით.

სამშენებლო სამუშაოების წარმოება, მშენებლობის ორგანიზაციის პროექტით, რეკომენდირებულია ბეტონის ტუმბოს და ჯოშუარა ამწის მეშვეობით. მისი ობიექტზე მიბმისა და დგომის საკითხი იხ. ნახაზებზე მოპ-1 და მოპ-2 .

ბ. შენობის აგების პროცესში და საინჟინრო ქსელების გაყვანისას სამშენებლო ორგანიზაციამ უნდა განახორციელოს შენობის და ნაგებობების გეომეტრიული პარამეტრების გეოდეზიური კონტროლი. გეომეტრიული პარამეტრების გეოდეზიური კონტროლი გამოიხატება შემდეგში:

- გეოდეზიურ (ინსტრუმენტულ) შემოწმებაში, თუ რამდენად შეესაბამება ელემენტების, კონტრუქციების და შენობის ნაწილების მდებარეობა საპროექტოს, მათი დროებითი გამაგრების და მონტაჟის პროცესის დროს.
- კონსტრუქციების ელემენტების და შენობის ნაწილების აღმასრულებელ გეოდეზიურ გადაღებაში გეგმიური და სიმაღლებრივი მდებარეობის მონტაჟის დამთავრების შემდგომ.

მშენებლობის ხანგრძლივობის დადგენა

მშენებლობის ხანგრძლივობის დასადგენად ვსარგებლობთ 24.03.2009წ. №57 დადგენილების, მუხლი №56-ით. მშენებლობის ხანგრძლივობას დამჯვეთის თხოვნის გათვალისწინებით ვადგენთ T=24 თვე. (8 ბალიანი სეისმურობის კოეფ. 1,15)

უსაფრთხოების ტექნიკა

ა. უცხო ჰირთა, აგრეთვე სამშენებლო ოპერაციებში დაუსაქმებელ მუშა-მოსამსახურეთა ყოფნა სამშნებლო მოედანზე დაუშვებელია.

ბ. მუშა-მომსახურე პერსონალს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მშნებლობაზე უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ტარდება გამოცდაც.

დ. აუცილებელია ჯოშუარა ამწის დამიწება მოპ-1 ფურცელზე მოცემული სქემის მიხედვით.

ე. სამშენებლო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში, გატარებული უნდა იქნას მომუშავეთა შრომის უსაფრთხოების ღონისძიებები თანახმად 28.03. 2007წ. №62 დადგენილების და სხვა ნორმატიულ-საკანონმდებლო დოკუმენტების მითითებების შესაბამისობით. მათგან ყურადღება მახვილდება შემდეგზე:

- სამუშაო ადგილები მუშაობის ჰირობებისა და ტექნოლოგიურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილ უნდა იყოს კოლექტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.
- ადვილად ალებადი სამღებრო, საიზოლაციო და სხვა მასალების, აგრეთვე მომწავლავი ნივთიერებების დღიური რაოდენობა სამშენებლო სამუშაოთა წარმოების ზონაში არ უნდა აღემატებოდეს იმავე დღიურ რაოდენობას მოთხოვნილების შესაბამისობით.
- საჰიდროიზოლაციო სამუშაოთა შესრულებისას და ზოგიერთ სხვა სამუშაოზე მუშები უნდა იყენებდნენ სპეცტანსაცმელს, რესპირატორებსა და
- მასალებისა და ნაკეთობების დასაწყობება უნდა მოხდეს მათზე ტექნოლოგიური მოთხოვნილებების ჰირობათა გათვალისწინებით; ამავე დროს ისინი უნდა დაეწყოს მოსწორებულ ადგილზე, რომ მათო მოცურება არ მოხდეს.
- ელექტრო უსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახსტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და მოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

- იჯრძალება ვიბრატორის სხვა ადგილზე გადატანა მისი ელ. ქსელიდან გამორთვის გარეშე. სამუშაოების შესრულების შემდეგ გასუფთავდება და გაიწმინდება მშრალად.
- სამშენებლო მოწყობილობათა ჩართვა (საწევლები, ჰარჯეტისა და მოზაიკის საჭრიალებელ-მოსახვეწი დანადგარები, ელ. შესადუღებელი აპარატები და სხვა.) საბინაო ელ. ქსელში აჯრძალულია. ს/ს "თელასის" ტექზედამხედველობის სამსახურთან შეთანხმებით ნებადართული სატრანსფორმატორო ქვესქდგურიდან უნდა მოხდეს სამწვერა ელ. კაბელის შემოყვანა დახურულ კარადაში, დაყენდეს მრიცხველი, საიდანაც ძალოვანი და განათებელი სადენები გაიმართება მომხმარებლისაკენ.

ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხი

1. მშენებლობის დაწყება დაიშვება თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული ნებართვის შემდეგ. მშენებლობა აუცილებელია განხორციელდეს ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებების დაცვით.
2. გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე მშნებლობის სიახლოვეს იჯრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა ან განადგურება.
3. აჯრძალულია ხსნარ და ბეტონმრევი კვანძების მოწყობა. დიდი რაოდენობით ბეტონისა და ხსნარის შემოზიდვა ორგანიზებულ უნდა იქნეს სასაქონლო მოწოდებით საწარმოებიდან მიქსერებით.
4. გატარდეს ღონისძიებები ხანძრის საშიშროების თავიდან ასაცილებლად ამჟამად მოქმედი სანიტარული ნორმების მიხედვით, ასევე გატარდეს ღონისძიებები, რათა ხმაურის დონე სამუშაოთა მიმდინარეობისას არ აღემატებოდეს 55 დბ-ს.
5. დაუშვებელია არსებულ საკანალიზაციო ჭებში ბეტონ და ხსნარ მილსადენების ჩარეცხვა ან მათი დანაგვიანება სამშენებლო ნარცენებით.
6. საბათქაშო და მოსახვითი სამუშაოების შესრულებისას ფასადებს ჩამოეფაროს ფარდა, რათა არ მოხდეს მტვრის გაბნევა სელიტებურ ზონაში.
7. მშენებლობის დამთავრების პერიოდში შენობიდან სამშენებლო ნაგვის ღიად ჩამოყრა დაუშვებელია. შენობა უნდა აღიჭურვოს ინვენტარული კონუსური ტიპის ნაგავგამტარებით, ხოლო ნაგვის ჩამოცლა უნდა მოხდეს უშუალოდ ავტოთვითმცლელი მანქანების ძარებში.